

ტერმინი	განმარტება	გამოსახულება
სმენის აპარატი ყურის უკან	ყურის უკან (BTE) სმენის აპარატი მაგრდება კაუჭით ყურის თავზე და ეყრდნობა ყურის უკანა მხარეს. სმენის აპარატი მილის საშუალებით უკავშირდება ინდივიდუალურ ყურსასმენს, რომელსაც ეწოდება ყურის ფორმის სხმული, რომელიც ყურის არხში შედის.	
კათეტერი	რბილი მილაკი, რომელიც გამოიყენება შარდის ბუშტიდან შარდის გამოსადინებლად. გამოიყენება ადამიანების მიერ, რომლებსაც არ შეუძლიათ შარდის ბუშტის დაცლა დამოუკიდებლად ან სურვილის მიხედვით.	
სუსტი, მყიფე	სუსტი, მყიფე და ენერჯისგან დაცლილი. ხშირად ითქმის ხანდაზმულ და გაუარესებული ჯანმრთელობის ადამიანზე.	
შეუკავებლობა	როდესაც ადამიანს უჭირს კონტროლი ან მისი სურვილით ვერ აკონტროლებს შარდის ბუშტს ან ნაწლავებს.	
საათი ხმოვანი ბრძანებით და სენსორული ეკრანით	საათი, რომელიც დროს ხმოვანი სიგნალით გადმოსცემს	
პერსონალი	სამედიცინო სამსახურში ან ორგანიზაციაში მომუშავე ადამიანები.	
როლატორი	ოთხბორბლიანი ორთოპედიული თვითგადასაადგილებელი საშუალება	
ინსულტი	თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის ბლოკირება. ამან შეიძლება გამოიწვიოს სხეულის ერთი მხარის სისუსტე ან დამბლა, ასევე პრობლემები საუბარში, გრძნობაში, აზროვნებასა და მხედველობაში.	
WHO-ს პრიორიტეტული დამხმარე	პრიორიტეტული დამხმარე პროდუქტების სია, რომელიც შექმნილია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ. ეს სია არის მოდელი, რომელიც ქვეყნებს შეუძლიათ	

პროდუქტების სია	გამოიყენონ თავიანთი ეროვნული პრიორიტეტული დამხმარე პროდუქტების სიების შემუშავებისთვის.	
ცერებრული დამბლა	მდგომარეობათა ჯგუფი, რომელიც გავლენას ახდენს მოძრაობაზე, კუნთოვან ტონუსზე, წონასწორობაზე და სხეულის მდგომარეობაზე. ცერებრული დამბლა არის ტვინის დაზიანების შედეგი დაბადებამდე, მის დროს ან მალევე დაბადების შემდეგ.	
დაუნის სინდრომი	მდგომარეობა, რომლითაც შეიძლება დაიბადოს ადამიანი. დაუნის სინდრომმა შეიძლება გამოიწვიოს ჯანმრთელობის, განვითარებისა და შემეცნებითი (აზროვნების) სირთულეები. დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ სპეციფიკური ფიზიკური მახასიათებლები.	
ზურგის ტვინის ტრავმა	ზურგის ტვინის დაზიანება, რომელიც, როგორც წესი, გამოწვეულია უბედური შემთხვევის ან ავადმყოფობის შედეგად. ზურგის ტვინის დაზიანების შემდეგ, შეტყობინებები ვერ გადადის ზურგის ტვინის გასწვრივ, სხეულსა და ტვინს შორის. ხშირად ადამიანი ვერ მოძრაობს (პარალიზებულია) და კარგავს მგრძობელობას დაზიანების ქვემოთ.	